



2021

საქართველოს სამსახურის ბიუროს
2021 წლის საქმიანობის ანგარიში

CIVIL SERVICE BUREAU ACTIVITY
REPORT 2021

**სსიპ-საჯარო სამსახურის
ბიუროს 2021 წლის
საქმიანობის ანგარიში**



შინაარსი

01

ადამიანური რესურსების
მართვა

4

02

თანამდებობის პირთა
ქონებრივი ძველმანათობის
დაკანონიერების გეგმებისა
და მონეტარის პოლიტიკის

15

03

ბენეფიციარი სამსახური

18

04

საჯარო სამსახურის ბიუროს
ინსტიტუციური გაძლიერება

21

05

აგროპროდუქტების
უზენაესობის და
მონეტარის პოლიტიკის
გეგმვის სავალდებულო
სამსახური

23

06

საჯარო სამსახურის
მდგრადი უზენაესობის
პროგრამის უზენაესობის
სადასტურებელი ნორმატიული
მდგრადობის
ინსტიტუციური გაძლიერების
ხელშეწყობით

28

07

საჯარო სამსახურის
რეორგანიზაციის მიზნობრივი
ხელშეწყობა

32

08

საერთაშორისო
თანამშრომლობა

35

09

საკანონმდებლო სპეცილიზაცია
და სასამართლო პროცესები

37

2021 წლის სტატისტიკა
საჯარო სამსახური

68

01

ადამიანური რესურსების მართვა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის, საჯარო სამსახურის ბიურო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით.

■ **მიღება საჯარო სამსახურში.** კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვისა და კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართა 46-მა კანდიდატმა 75 ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებით. საკონკურსო პირობების და განაცხადის შესაბამისობის გადამოწმების შემდეგ, ბიუროს რეკომენდაციით, კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაშვებულ იქნა 6 კანდიდატი 9 ვაკანსიაზე.

■ **დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადამოწმება.** საანგარიშო პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოხელის თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით, საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა და შეითანხმა 484 საჯარო დაწესებულების 1522 პოზიციის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამასთანავე, 484 საჯარო დაწესებულებიდან 162 საჯარო დაწესებულებას ბიურომ რეკომენდაციის სახით გაუზიარა მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები მისი კომპეტენციის ფარგლებში.

**ბიუროს მიერ
ადმინისტრირებულ
ვებგვერდზე – www.hr.gov.ge –
გამოცხადდა 4441 ვაკანსია,
აქედან 2794 ღია კონკურსი,
256 – დახურული, 386 – შიდა,
585 – გამარტივებული,
397 – სტაჟირება და
23 – სხვა.**

საკონკურსო კომისიის ოქმების ანალიზი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ შეისწავლა საჯარო დაწესებულებებში მოხელეთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობის პროცესი. აღნიშნული მიზნით, ბიურომ მიმართა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებას, სასამართლო ორგანოს, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირსა და საქვეუწყებო დაწესებულებას, ღია, დახურული და შიდა კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.

თითოეული საჯარო დაწესებულება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიყო, ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – www.hr.gov.ge – მოხელეთა ვაკანტურ პოზიციებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით. გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გაანალიზდა 28 დაწესებულების მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაცია. მიღებული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს დახვეწას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობის ერთგვაროვანი აღსრულების მიზნით:

- უმეტესწილად, კანდიდატების შეფასებისათვის გამოყენებულია მხოლოდ გასაუბრების და ძირითადად, არასტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი, რაც კანდიდატის მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად ნაკლებად რელევანტური ინსტრუმენტებია.
- ხშირია გასაუბრების ეტაპთან ერთად ზეპირი დავალების ეტაპის ჩატარებაც. გასულ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, კანდიდატის შეფასებისას უფრო ხშირად იყენებენ ზეპირი დავალების კომპონენტს, თუმცა, მნიშვნელოვანია შესაბამისი ეტაპის ოქმში აღნიშნული იყოს ინფორმაცია ზეპირი დავალების კონკრეტულ ინსტრუმენტებთან და მათი გამოყენებით კანდიდატის შეფასების მეთოდთან დაკავშირებით.
- კვლავ იშვიათია წერიტი დავალების კომპონენტის გამოყენების პრაქტიკა. შესაძლოა, პანდემიის პირობებში, აღნიშნული კომპონენტი უფრო მეტ ორგანიზაციულ და დროით რესურსს მოითხოვდეს, თუმცა, საკონკურსო თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ საუკეთესო კანდიდატის შერჩევისათვის წერიტი დავალება უფრო შედეგიანი იქნება, უმჯობესია აღნიშნული მეთოდის გამოყენება.
- წინა წლებთან შედარებით, შემცირდა სხვადასხვა პოზიციისთვის ერთი საკონკურსო კომისიის შექმნის ფაქტები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კვლავ აქტუალურია აღნიშნული გამოწვევა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო დაწესებულებებში იქმნება ერთი მრავალწევრიანი საკონკურსო კომისია, პარალელურად მიმდინარე კონკურსების ფარგლებში კანდიდატთა შერჩევის მიზნით. თუმცა, კომისიის წევრთა სიმრავლე, მათი სხვადასხვა კომპეტენციის გათვალისწინებით არ იძლევა თითოეული მათგანის ყველა პოზიციის შემთხვევაში კანდიდატთა შერჩევის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და მეორე მხრივ, შესაძ-



ლოა გახდეს კანდიდატისთვის დისკომფორტის შექმნის საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ საკონკურსო კომისიის სხდომებს, მიუხედავად კომისიის შემადგენლობის მრავალფეროვნებისა, ფაქტობრივად მხოლოდ რამდენიმე წევრი ესწრება, ძირითადად, იმავე დაწესებულების წარმომადგენლები. აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრება ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის სულისკვეთებას და შესაძლებელია, გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიწვიოს საჯარო დაწესებულებებში ჩატარებული კონკურსებისადმი უნდობლობა.

- საკონკურსო კომისიის ოქმების ნაწილში არ არის დეტალურად განერილი ინფორმაცია კონკურსის ეტაპებისა და მიმდინარეობის შესახებ. ოქმში მითითებულია მხოლოდ კონკურსის ეტაპების სახელწოდებები, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან.
- საკონკურსო კომისიის ოქმები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და მეთოდების, კომისიის წევრების მსჯელობის და გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების შესახებ, რაც შესაძლებელია გახდეს კანდიდატის უფლების დაცვის მიზნით სასამართლოში საკითხის განხილვის წინაპირობა.

■ კანდიდატთან გასაუბრების მონიტორინგი. საჯარო სამსახურის ბიურომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელა საჯარო დაწესებულებებში კონკურსის დროს მიმდინარე გასაუბრების ეტაპის მონიტორინგი. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბიუროს წარმომადგენელი გასაუბრების ეტაპს აკვირდებოდა ელექტრონული რესურსების გამოყენებით. გასულ წელთან შედარებით, საჯარო დაწესებულებები უფრო ორგანიზებულად ახერხებდნენ გასაუბრების დისტანციურად დაგეგმვასა და ჩატარებას, თუმცა, კვლავ გამომწვევად რჩება ტექნიკური ასპექტები, რომელიც აფერხებს მონიტორინგის პროცესს (მაგ: ხმის, ვიდეო კამერის, ინტერნეტის, ელექტრო აქსესუარების გამართულობის პრობლემა). საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დააკვირდა მოხელის ოთხივე რანგის ცხრავე კატეგორიის თანამდებობაზე მოცხადებული კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების პროცესს 12 საჯარო დაწესებულებაში. გასაუბრების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას:

- რამდენიმე შემთხვევაში დარღვეული იყო პროცედურული საკითხები, კანდიდატებისთვის გასაუბრების ჩანერის შესაძლებლობის შეთავაზებასთან, აცილების შესახებ ინფორმირებასთან და კომისიის შემადგენლობის წარდგენასთან დაკავშირებით.
- იკვეთებოდა ტენდენცია გასაუბრების პროცესის მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ჩართულობით წარმართვის კუთხით და შეიმჩნეოდა კომისიის დანარჩენ წევრთა, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის პასიური ჩართულობა კანდიდატის შეფასების პროცესში.
- ერთეულ შემთხვევებში გასაუბრების პროცესი ტექნიკური გაუმართაობისა და შეფერხებების გამო დაგვიანებით დაიწყო.



- კანდიდატთან ინტერვიუ, ძირითადად, მიმდინარეობდა არასტრუქტურირებულად. უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ იყო შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი, რაც ამცირებს კანდიდატის შეფასების პროცესში კომისიის წევრთა თანაბარ ჩართულობას, კანდიდატთან გასაუბრების დროის ეფექტიანად და თანაბრად მართვის შესაძლებლობას.
- ზეპირი დავალების ეტაპზე, ძირითადად, გამოყენებული იყო დახურული ტიპის შეკითხვები, რომელიც შეიძლება შედეგიანი იყოს ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენისთვის, თუმცა, ნაკლებად ეფექტიანს ხდის თავისუფალი მსჯელობის, პოზიციათა წარმოჩენისა და ფაქტის/მოვლენის არგუმენტირებული შეფასების კუთხით კანდიდატის შესაბამისი კომპეტენციების შეფასებას.
- გასაუბრების ნაწილში, ნაკლებად არის გამოყენებული მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესაფასებელი წინასწარ განსაზღვრული ფორმები.
- კანდიდატთა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში განერილია ზოგადად და სუბიექტური ინტერპრეტაციების რისკს ზრდის, აღნიშნული გარემოება კი შესაძლოა კანდიდატის მხრიდან კონკურსის პროცესის მიმართ უნდობლობის გამოწვევის საფუძველიც კი გახდეს.

ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით მომზადდა ასევე, ძირითადი კომპეტენციების ელემენტების, მოდელისა და ლექსიკონის შემუშავების მეთოდოლოგია და შეიქმნა ძირითადი კომპეტენციების მოდელი და ლექსიკონი. აღნიშნული დოკუმენტები დამატებით შესაძლებლობებს მისცემს საჯარო დაწესებულებებს შერჩევის პროცესი გახდეს მეტად კომპეტენციებზე დაფუძნებული.

შერჩევის პროცესის დახვეწის მიმართულებით, საჯარო სამსახურის ბიურო გეგმავს საბაზისო კომპეტენციების შეფასებისა და გაზომვის ინსტრუმენტის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს კანდიდატის შეფასებისას სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით კომპეტენციების შეფასებასა და გაზომვას.

საჯარო სამსახურში შერჩევისა და მიღების პროცესის დახვეწის მიზნით, იგეგმება საჯარო სამსახურთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ კონცეფციის გადახედვა, ახალი დასავლური ტენდენციების ასახვისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

■ გამართივებული კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება-ბის მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გადამოწმდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში გამართივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული 1283 შრომითი ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებების დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის ხარვეზები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა შემდეგ ასპექტებს:

- ხელშეკრულებების ნაწილში (2%), შესასრულებელი ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის, რის გამოც რთულდება დადგინდეს მათი დამხმარე ან არამუდმივი ხასიათი;
- ზოგიერთ ხელშეკრულებაში (2,1%) ასახული ფუნქციები შეესაბამება პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და არ ატარებს დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შინაარსს;



- ნაწილი ხელშეკრულებით საერთოდ არ არის გათვალისწინებული შესასრულებელი ფუნქციები.

საანგარიშო პერიოდში გადამოწმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გაფორმებულია 572 ხელშეკრულება, რეგიონულ დონეზე – 402, სასამართლო სისტემაში – 82, პარლამენტის აპარატში – 121, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 52, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 54 შრომითი ხელშეკრულება.

პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი. ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას მოხელის მობილობის პროცესში. საანგარიშო პერიოდში 41 საჯარო დაწესებულებაში განხორციელდა რეორგანიზაცია. გარე მობილობის პროცედურის განხორციელების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროში შემოსულია 15 განცხადება. მობილობის შედეგებთან დაკავშირებით, საჯარო დაწესებულებებისგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული ვერც ერთი პირი ვერ დასაქმდა საჯარო სამსახურის სისტემაში, ე.წ. გარე მობილობის საფუძველზე. ამჟამად მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულია 56 მოხელე.

სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მოხელის თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით, საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი თანამდებობების მოძიების მიზნით, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო დაწესებულებებმა მომართეს 5 მოხელის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. შედეგად, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოგზავნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამსახურში აღსადგენი მოხელეები ჩაირიცხნენ მოხელეთა რეზერვში და მიეცათ კანონით განსაზღვრული განაცდური და კომპენსაცია.

პროფესიული საჯარო მოხელის შუფასების სისტემის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო დაწესებულებებთან და კონსულტაციას უწევდა მათ შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად, შეფასების პროცესის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დისტანციურ რეჟიმში შეფასების განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი თანამშრომელი ადგილზე მუშაობს, ზოგი კი უფლებამოსილებებს სახლიდან ახორციელებს, მნიშვნელოვანია ყველა მოხელის მიმართ გამოყენებული იყოს შეფასების ერთგვაროვანი მიდგომები და პრაქტიკა, რის დამკვიდრებასაც ხელს უწყობს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო შესაბამის დაწესებულებებთან და პასუხისმგებელ პირებთან უწყვეტი კომუნიკაციით და კონსულტაციით.

პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში. საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, მოხელის პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, 2021 წლისათვის 5155 (საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობის 33.4%) მოხელისათვის განისაზღვრა 198 პროფესიული განვითარების როგორც საბაზისო, ასევე დამატებითი



პროგრამა. მათგან, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა დაიგეგმა 71 საჯარო დაწესებულების 1010 მოხელისათვის. აქედან, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი განესაზღვრა ახლადდანიშნულ მოხელეთა 68%, ხოლო მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამა – 32%.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი გაიარა – 61.5%, მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების პროგრამა – 38.5%

პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამები დაიგეგმა 67 საჯარო დაწესებულების 4 145 მოხელისათვის. დამატებითი პროგრამების სტატისტიკური ანალიზისას იკვეთება 15 ყველაზე მეტად მოთხოვნილი სასწავლო თემატიკა: საბანკო საქმე; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ეთიკა საჯარო სამსახურში; AMS (შესაბამისობის აუდიტი); Microsoft Excel; სტრესის მართვა; სახელმწიფო შესყიდვები; ეფექტური კომუნიკაცია და ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები; საგადასახადო კანონმდებლობა; აკადემიური წერა; დროის მართვა; პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება; ეფექტური მოლაპარაკებები; პროექტების მართვა; გენდერული პოლიტიკა. აღნიშნული თე-

მატიკის სასწავლო კურსებზე განაწილებულია საერთო ჯამში პროფესიული განვითარების 2021 წლის დამატებით პროგრამებში ჩართულ მოხელეთა 48%.

აღნიშნული პროგრამები, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიზეზით არსებული შეზღუდვების გამო, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციითა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, ხორციელდება, მათ შორის, დისტანციურ რეჟიმში.

საერთო ჯამში, მოხელის პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამა 5 864 პირისათვის განხორციელდა. საბაზისო პროგრამების თითოეული კურსის მიხედვით განხორციელების მაჩვენებელი შემდეგია: პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი გაიარა 61.5%, მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების პროგრამა – 38.5%.

პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა. დისტანციურ რეჟიმში მუშაობისა და პანდემიის შეზღუდვების გამო პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროცესების გაციფრულების 21-ე საუკუნის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, დაიწყო მოხელეთა სწავლების ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე მუშაობა. ამ ეტაპზე, გრძელდება პლატფორმის შექმნის პროგრამული სამუშაოები და მიმდინარეობს მისი ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (eHRMS) ინტეგრირება.

სწავლების ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შემუშავების პარალელურად, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ონლაინ სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შექმნის მიზნით, განხორციელდა კვლევა, რომლითაც შეფასდა უკვე არსებული საბაზისო პროფესიული განვითარების პროგრამის ეფექტიანობა და შემუშავდა სისტემის გაუმჯობესების მექანიზმები, განსაკუთრებით კი დისტანციურ სწავლების



მიმართულებით. გარდა ამისა, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა ონლაინ და შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და აკრედიტაციის სქემის სტანდარტების პირველადი დოკუმენტი.

პროფესიული განვითარების სისტემის ხარისხის გაზომვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ხორციელდება კვლევა საბაზისო პროფესიული განვითარების პროგრამების მიმწოდებელი სასწავლო დაწესებულებების და საბაზისო პროგრამების რეიტინგების შესახებ. კვლევის შედეგად შემუშავდება მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებელს გახდის, ობიექტური და შენონილი ალგორითმის საფუძველზე, სასწავლო დაწესებულებებისა და საბაზისო პროგრამების რეიტინგების წარმოებას.

■ სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა. საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პირველადი დოკუმენტი. აღნიშნული მეთოდოლოგიის ადაპტაციის მიზნით, მიმდინარეობს სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესის პილოტირება. მიმდინარე პილოტირების პროცესის დასრულებისთანავე, შემუშავდება სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საბოლოო დოკუმენტი. სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესი ერთ-ერთი ფუნდამენტური რგოლია ადამიანური რესურსების მართვის ციკლში და ამდენად, ამ მიმართულებით შემუშავებული სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს ადამიანური რესურსების პროცესების სტრატეგიულად დაგეგმვასა და მომავლის საჭიროებების პროგნოზირებაში.

■ ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა გაძლიერება. სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს ადამიანური რესურსების ერთეულების წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერებას, როგორც ცენტრალურ ასევე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისა თუ ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე მეთოდური სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების შემუშავების მეშვეობით.

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროსათვის, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, მომზადდა ძირითადი კომპეტენციების ელემენტების, მოდელისა და ლექსიკონის შემუშავების მეთოდოლოგია და შეიქმნა ძირითადი კომპეტენციების მოდელი და ლექსიკონი. კომპეტენციების მოდელი არის თანამედროვე ინსტრუმენტი ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, რომელიც გამოიყენება საჯარო მოხელეთა შერჩევის, შეფასების და განვითარებისთვის. შესაბამისად, მოხელეთა საბაზისო კომპეტენციების მოდელის შემუშავება გააუმჯობესებს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობას მოხელეთა შერჩევის, შეფასების და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ამავე პროექტის ფარგლებში, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროსა და 6 საპილოტე სამინისტროს ჩართულობით განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელისა და ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის სხვადასხვა თანამდებობის სამუშაოს აღწერილობების დახვეწა-ჰარმონიზაცია. სამუშაოს აღწერილობების ჰარმონიზაციის მიზნით, განისაზღვრა თანამდებობის მიზანი და მოხდა მიზნის გამრავალფეროვნება; გათანაბრდა/დაბალანსდა



ადამიანური რესურსების მართვისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების სხვადასხვა სფეროებს მიკუთვნებული ფუნქციები; ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციის სამუშაოს აღწერილობაში უფრო მეტად გამოიკვეთა სტრატეგიული მიმართულება; განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ფართო პროფილის მქონე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის სპეციალისტი (HR Generalist); თანამდებობებისთვის კომპეტენციების დასადგენად გამოყენებულ იქნა კომპეტენციების ჩარჩო; სამუშაოს აღწერილობები გამდიდრდა საჭირო პროფესიული ცოდნით (თემატიკის ჩამონათვალი).

საჯარო სამსახურის ბიურო გეგმავს გააგრძელოს მუშაობა საჯარო დაწესებულებების სხვა კორიზონტალური ფუნქციების სამუშაო აღწერილობების ჰარმონიზაციისა მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოს აღწერილობების დახვეწას საჯარო სამსახურის სისტემაში და შექმნის საფუძველს, ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სტანდარტიზებული სამუშაოს აღწერილობების ინტეგრირებისათვის.

■ მოხელეთა შიფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ორგანოებში. საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და მუნიციპალურ დონეზე შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროექტის მხარდაჭერით, აგრძელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შერჩეული შეფასების მოდელების დახვეწას, შეფასების პროცესში მენეჯერების შესაძლებლობებისა და უნარების გაზრდას და მუნიციპალურ დონეზე სამუშაოს მართვისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (8 მენტორი), მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო-ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების, ასევე, ორივე რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ მოხელეთა შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების პროცესის დახვეწისა და განვითარების კუთხით. პროექტში ცენტრალური საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყო იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების 4 წარმომადგენელი (მენტორი). აღნიშნული ჩართულობით გაუმჯობესდა როგორც ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე, ისე რეგიონებს შორის ურთიერთთანამშრომლობა. აღნიშნული პროექტი ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და პროფესიული განვითარების საკითხებზე გადამზადდა I და II რანგის 201 მოხელე.

პროფესიული განვითარებისათვის მრავალფეროვანი მეთოდების წახალისების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროექტის მხარდაჭერით, ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისა და საქართველოს სამი რეგიონის (იმერეთი, მცხეთა მთიანეთი და ქვემო ქართლი) მუნიციპალიტეტებიდან შერჩეული ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი 15 პირისათვის განხორციელდა მენტორთა ტრენინგი. ტრენინგის მიზანი იყო ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა გაძლიერება



მენტორული უნარებით და შესაბამისი ცოდნით აღჭურვა, რაც ხელს შეუწყობს მენტორინგის ინსტრუმენტის შემდგომ დანერგვას ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზეც.

საანგარიშო წლის ივნისიდან საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის – „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ – ფარგლებში, 5 თვის განმავლობაში, განხორციელდა პროექტი „სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის 9 მუნიციპალიტეტში“. პროექტის მიზანი იყო, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომებთან დაკავშირებით, ცენტრალური საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გამოცდილების გაზიარება „სწავლა კეთებით“ პრინციპზე და მენტორინგის მეთოდზე დაყრდნობით. პროექტის ფარგლებში, მენტორებმა მოამზადეს პროფესიული განვითარების გეგმის ნიმუშები და განაახლეს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის პოზიციის სამუშაოს აღწერილობა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის ჩაატარეს ტრენინგები პროფესიული განვითარების საკითხებზე, რათა უკეთესად ყოფილიყო აღქმული შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა და როლი. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა I და II რანგის 300-მდე მოხელე.

**საჯარო სამსახურში
შეფასებისა და
პროფესიული
განვითარების
საკითხებზე სულ
გადამზადდა 500-მდე
მენეჯერი საქართველოს
სამ რეგიონში**

პროექტის ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მასალა, მათ შორის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დოკუმენტი, პროფესიული განვითარების სისტემის მართვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების შესახებ ვიდეორგოლი, ასევე, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების სისტემის მართვის პროცესების აღწერის დოკუმენტი. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულებისა ან/და ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირების გაძლიერებას.

საჯარო სამსახურის ბიურო კვლავაც გეგმავს მსგავსი პროექტის განხორციელებას საქართველოს სხვა რეგიონების მუნიციპალური ორგანოებისათვის, რომელიც ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზსა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავებაზე.

HR ფორუმი. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, 3 HR ფორუმს უმასპინძლა. ფორუმებს ესწრებოდნენ ცენტრალური საჯარო უწყებების



ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები. UNDP-ს მხარდაჭერით ჩატარებული HR ფორუმი შესრულებული სამუშაოს მართვისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის საკითხებს მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ ამ ფორუმის შემდეგ ბიუროს ინიციატივით და საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავების კონკრეტულ გეგმებთან, ნაბიჯებთან და ვადებთან დაკავშირებით. შედეგად, ცენტრალურ უწყებებს უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა HR სტრატეგიის შექმნის/განახლების მიმართულებით.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით ჩატარებულ HR ფორუმზე განხილულ იქნა ძირითადი/საბაზისო კომპეტენციების მოდელის, ელემენტებისა და ლექსიკონის შემუშავების, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოზიციების განახლებული სამუშაოს აღწერილობებისა და ჰარმონიზაციის მეთოდოლოგია. საბაზისო კომპეტენციების მოდელი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შერჩევის პროცესის გაუმჯობესებას, სამუშაოს აღწერილობების განახლება კი ჰარმონიულად დააკავშირებს ადამიანური რესურსების მართვის პოზიციების საქმიანობას კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან და ნათლად გამოკვეთს ადამიანური რესურსების მართვის შესაბამის პროფილებს.

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში, ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში დამატებული 4 ახალი მოდული სრულად ამოქმედდა და საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა უკვე, აღნიშნული მოდულების გამოყენებით წარმართავს სხვადასხვა ადამიანური რესურსების მართვის პროცესს, მათ შორის, ელექტრონულად განხორციელდა მოხელეთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება. ამასთან, მონაცემთა სრულყოფისა და სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სისტემა უკვე იღებს მონაცემებს იმ სამი საჯარო დაწესებულებისაგან, რომლებიც არ უკავშირდებოდნენ აღნიშნულ სისტემას.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა.

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულისა და შემოდგომის ნაკადზე გამოცხადდა 5864 ვაკანსია. გამოცხადებულ ვაკანსიებზე დარეგისტრირდა 325 სტაჟირების მსურველმა, აქედან 57 კურსდამთავრებულისა და 268 სტუდენტის სტატუსით. 325 სტაჟიორიდან 290 სტაჟიორი დარეგისტრირდა თბილისის მასშტაბით გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ხოლო რეგიონების მასშტაბით კი – 35 სტაჟიორი.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების, მიზნით 2022 წლისთვის დაიგეგმა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მიმართ დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების კვლევა. კვლევის პროცესში დაგეგმილია 500-მდე სტუდენტის/კურსდამთავრებულისა და 100-მდე საჯარო დაწესებულების გამოკითხვა, გარდა ამისა კვლევის ფარგლებში ჩატარდება ფოკუსირებული დისკუსიები, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის საჭიროებებისა და გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებისათვის. გარდა ამისა, საჯარო სამსახურში ახალგაზრდების მოზიდვისა და მრავალფეროვანი გარემოს უზრუნველყოფისათვის, აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.



აღნიშნული კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად, 2023 წლისათვის დაგეგმილია სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გავლის კონცეფციის შემუშავება და კონცეფციის საფუძველზე სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გავლის განახლებული წესის შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტის მომზადება.



02

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და მონიტორინგის პროცესი

2021 წლის პირველი იანვრიდან, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია წარდგენილია 6 180 პირის მიერ. მათ შორის – 783 ყოფილი თანამდებობის პირი და 38 მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრირებული პირია. დეკლარაციების შევსების პროცესთან დაკავშირებით სულ დაფიქსირდა 9 717 სატელეფონო ზარი და 1 218 ონლაინ დახმარების შეტყობინება.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის, შესაბამისი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით.

2021 წლის პირველი იანვრიდან მოხდა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების განახლებული ელექტრონული სისტემის ოპერირების დაწყება. საჯარო სამსახურის ბიურომ, სსიპ-ციფრული მმართველობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, შეძლო აღნიშნული სისტემის საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ბაზებთან დაკავშირება. კერძოდ, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, სსიპ – ნოტარიუსთა პალატიდან, სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან და სსიპ – მომსახურების სააგენტოდან უძრავი ქონების, მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება, ცეცხლსასროლი იარაღი), სამეწარმეო საქმიანობის, შემოსავლების და მოქმედი ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის წამოღება.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება (ავტორიზაცია) და წარდგენა (ელექტრონული ხელმოწერით დადასტურება) ხდება ID ბარათით, რაც დამატებით საშუალებას აძლევს დეკლარანტს თანამდებობის პირს



2021 წლის განმავლობაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია წარდგენილია 6 180 პირის მიერ. მათ შორის - 783 ყოფილი თანამდებობის პირი და 38 მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრირებული პირია. დეკლარაციების შევსების პროცესთან დაკავშირებით სულ დაფიქსირდა 9 717 სატელეფონო ზარი და 1 218 ონლაინ დახმარების შეტყობინება.

გამოქვეყნებულ დეკლარაციაშიც განახორციელოს მისთვის სასურველი ცვლილება/კორექტირება. განახლებული პროგრამის გაშვებასთან დაკავშირებით, საჯარო სამსახურის ბიუროში მომზადდა და ბიუროს უფროსის 2021 წლის 31 მაისის ბრძანებით დამტკიცდა „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია“.

საანგარიშო პერიოდში, განახლებულ პროგრამაში დეკლარაცია წარდგენილ იქნა 2 988 თანამდებობის პირის მიერ.

„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, 2021 წლის 29 იანვარს ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით შერჩეულ იქნა მიმდინარე წელს შესამოწმებელი თანამდებობის პირები. კერძოდ, შერჩეულ თანამდებობის პირთა რაოდენობამ შეადგინა, 5640 – საერთო რაოდენობის 5%, სულ 282 თანამდებობის პირი. ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 21 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, 2021 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 303.

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მოწვევაზე 2020 წელს არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას და აკადემიური წრის წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, ბიუროს მიერ 2021 წელს განხორციელდება მხოლოდ შემთხვევითი შერჩევით და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე.

შესამოწმებელ თანამდებობის პირთა მონიტორინგის პროცესი, შესაბამისი გრაფიკით, გადანაწილდა თვეების მიხედვით, რომელსაც ახორციელებს დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტის 7 თანამშრომელი. 2021 წლის განმავლობაში შემოწმებული 303 თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციიდან: დადებითად შეფასდა 130 თანამდებობის პირის დეკლარაცია, დაჯარიმდა – 133 თანამდებობის პირი, გაფრთხილება მიეცა – 32 თანამდებობის პირს, პროკურატურაში გადაიგზავნა – 1 თანამდებობის პირის დეკლარაცია და მონიტორინგი შეწყდა – 7 თანამდებობის პირის დეკლარაციაზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შერჩევამდე გასულია ერთ წელზე მეტი ვადა და არ წარმოადგენდნენ „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს.



საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციის მექანიზმების გადახედვისა და კვლევის განხორციელების მიზნით, ბიურო გეგმავს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნას საჯარო სამსახურის ბიუროს, რელევანტური საჯარო უწყებებისა და მოწვეული ექსპერტების ჩართულობით. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხორციელდება საერთაშორისო კარგი პრაქტიკის და კანონმდებლობით გათვალისწინებული არსებული პრევენციის მექანიზმების ანალიზი. კერძოდ: კორუფციის პრევენციის რა ინსტრუმენტები/მექანიზმები მოქმედებს პრაქტიკაში ახლა (სიტუაციის ანალიზი), რომელი ინსტრუმენტების/მექანიზმების დახვეწა გვსურს მომავალში (სამომავლო ნაბიჯები და ტრენდები) და როგორ უნდა მივალწიოთ ამას (რეკომენდაციები და დანერგვის ინოვაციური გზები). ამასთანავე, თანამედროვე გამოწვევების, ტენდენციების გამოკვეთისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, დაგეგმილია ელექტრონული ვალუტის („კრიპტოვალუტის“) გასაჯაროების და თანამდებობის პირის მიერ დეკლარირების პროცედურული ასპექტების კვლევა. ასევე, იგეგმება საერთაშორისო კონფერენცია საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის, კეთილსინდისიერებისა და კორუფციის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით, სადაც მიმოხილულია ჩატარებული კვლევის პირველადი შედეგებიც.

03

გენდერი საჯარო სამსახურში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულდა მუშაობა კვლევაზე „მენეჯერი ქალები საქართველოს საჯარო სამსახურში“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საჯარო სამსახურში კარიერული განვითარების მიმართ საჯარო მოხელეთა გამოცდილებისა და აღქმების შესწავლით, ასევე, ქალების პროფესიული წარმატებისკენ მიმავალ გზაზე არსებული ბარიერებისა და ხელშემწყობი ფაქტორების გაანალიზებით, საჯარო სამსახურში ქალების კარიერული წინსვლის მხარდაჭერა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. კვლევის პროცესში ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საჯარო მოსამსახურეთა უპრეცედენტო რაოდენობამ, კერძოდ, 2527-მა საჯარო მოსამსახურემ, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა საჯარო სამსახურში მენეჯერულ და წამყვან პოლიტიკურ პოზიციაზე დასაქმებულ ათ ქალ რესპონდენტთან. კვლევის ჩატარება წარმოადგენდა საჯარო სამსახურის ბიუროს კვლევითი რესურსების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი აქტივობის შედეგს, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) მხარდაჭერით განხორციელდა.

2021 წლის 31 მარტს, ქალთა თვის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ნაწილად დაიგეგმა და ელექტრონულ რეჟიმში ჩატარდა აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია-განხილვა, რომელსაც საჯარო მოხელეები ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, აგრეთვე დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების, ისევე როგორც აკადემიური წრეებისა და საკითხებით დაინტერესებული პროფესიული წრის წარმომადგენლები დაესრულნენ.

**კვლევაში
„მენეჯერი ქალები
საქართველოს საჯარო
სამსახურში“
მონაწილეობა მიიღო საჯარო
მოსამსახურეთა უპრეცედენტო
რაოდენობამ – 2527**

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, კვლევით-მა ორგანიზაცია „CRR-საქართველომ“, განახორციელა საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების კვლევა. მსგავსი კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა და იგი განხორციელდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების

კომბინაცია. ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც 461 საჯარო მოხელე მონაწილეობდა. ამასთან, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს ფორმით გამოიკითხა ონლაინ გამოკითხვის შედეგად შერჩეული 35 საჯარო მოხელე, ასევე მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებას, ასევე, საქართველოს საჯარო სამსახურში სექსუალური შევიწროებისაგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნას. წინამდებარე კვლევის პრეზენტაცია ჩატარდა 2021 წლის 19 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიურო ერთ-ერთი პირველი საჯარო უწყებაა, რომელმაც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, შეიმუშავა და დანერგა ბიუროში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის შიდა მექანიზმი.

წინამდებარე ინსტრუმენტის გაცნობის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს საჯარო სამსახურში სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების გაძლიერება და გენდერულად მგრძობიარე სამუშაო გარემოს ხელშეწყობა წარმოადგენდა. შეხვედრის ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებმა, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, განიხილეს სექსუალური შევიწროების აღკვეთისა და რეაგირების შიდა მარეგულირებელი მექანიზმის გამოყენების და პრაქტიკაში დანერგვის საკითხები. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა საჯარო სამსახურის ბიუროსთვის გენდერული თანასწორობის პრიორიტეტების განსაზღვრაზეც იმსჯელეს. საჯარო სამსახურში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა საჯარო სამსახურის ბიუროს 2022 წლის პრიორიტეტებს შორისაა და ამ მიმართულებით იგეგმება ბიუროს როლის გაძლიერება საჯარო უწყებებში სექსუალური შევიწროების აღკვეთისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვის პროცესში მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

საჯარო სივრცეში და სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების რეგულირების საკითხებზე მოხელეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საჯარო მოხელეთა ფორუმი, რომელსაც უძღვებოდა ადგილობრივი ექსპერტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებში.

2021 წელს, საჯარო სამსახურის ბიურო კვლავაც შეუერთდა საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ 16 დღიან კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. კამ-



**საჯარო სამსახურის
ბიურო, გაეროს ქალთა
ორგანიზაციის მხარდაჭერით
და ადგილობრივი ექსპერტის
ჩართულობით, გეგმავს ბიუროს
გენდერული თანასწორობის
სტრატეგიის შემუშავებას.**

პანიის ფარგლებში, ჩატარდა საჯარო მოხელეთა ფორუმი თემაზე „სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელმა 200-მდე საჯარო მოხელეს გააცნეს ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის კოორდინაციის სისტემა, საქართველოში მოქმედი ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ქალთა

მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული. ფორუმის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკაზე და ძალადობის პრევენციის და რეაგირების მექანიზმებზე.

04

საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების ცენტრის (HICD) მხარდაჭერითა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) დახმარებით, განხორციელდა ბიუროს საქმიანობისა და მიმდინარე პროცესების ბიუროს მისიასა და მიზნებთან შესაბამისობის შეფასება. ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში გაცხადებული მიზნების მიღწევის კვალდაკვალ, ძალიან მნიშვნელოვანია ბიუროს ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაანალიზება. ანალიზი მიზნად ისახავს, ბიუროს საქმიანობის შეფასებას და პროცესების გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების მომზადებას.

ამ მიზნით, კომპანიამ შეისწავლა ბიუროს საქმიანობის შიდა და გარე ასპექტები, შეაფასა ინსტიტუციური საქმიანობა და მონიტორინგის და შეფასების არსებული სისტემები.

ორგანიზაციული შეფასება განხორციელდა 2021 წლის ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში. შეფასების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) მოდელი და პროცესი სამი ძირითადი ფაზისაგან შედგებოდა, რაც გულისხმობს საქმიანობის ანალიზს და ხარვეზების გამოვლენას, ხარვეზების გამომწვევი მიზეზების ანალიზს და იმ გადაწყვეტილებებისა და ზომების შერჩევას, რომელთა განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

შედეგად, ბიუროსთვის მომზადდა რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელთა პრიორიტეტიზაციის საფუძველზე, შემუშავდება რეკომენ-

**საჯარო სამსახურის
რეფორმის კონცეფციის
განახლების სამფაზიანი
მიდგომა**

რა ეტაპზე ვართ ახლა
[სიტუაციის ანალიზი], რა მიზნებს
უნდა მივაღწიოთ მომავალში
[სამომავლო ნაბიჯები და
ტრენდები]
როგორ უნდა მივაღწიოთ ამ
მიზნებს [რეკომენდაციები
და დანერგვის ინოვაციური
მექანიზმები]

დაციების შესრულების გეგმა და დაიგეგმება შესაბამისი ნაბიჯები პრაქტიკაში განსახორციელებლად.

საჯარო დაწესებულებაში კორპორაციული საქმიანობებისა და შედეგების დაგეგმვისა და მართვის სისტემის შემოღება დაწესებულების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. სწორედ ორგანიზაციული საქმიანობის მართვის სისტემა უზრუნველყოფს იმ სტრუქტურირებულ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიულ ამოცანებს, ირჩევს ტაქტიკურ მიდგომას დასახული ამოცანების შესასრულებლად, უზრუნველყოფს პრიორიტეტების შესასრულებლად საჭირო რესურსების მობილიზებას და თანამშრომლებს განუსაზღვრავს პასუხისმგებლობების სფეროებს.

საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს ეროვნული დარგობრივი სტრატეგია – საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია – განსაზღვრავს, რომელიც 2014 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის №627 დადგენილებით.

კონცეფციის დამტკიცებიდან შვიდი წლის შემდეგ, ბიურო გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის გადახედვას და საჯარო სექტორის თანამედროვე გამოწვევებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით პრობლემების ანალიზს. ამ პროცესში შეიქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი საჯარო სამსახურის ბიუროს, რელევანტური საჯარო უწყებებისა და ექსპერტების ჩართულობით, რომელიც შეისწავლის არსებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დოკუმენტს სამფაზიანი მიდგომის საფუძველზე. კერძოდ, რა ეტაპზე ვართ ახლა (სიტუაციის ანალიზი), რა მიზნებს უნდა მივაღწიოთ მომავალში (სამომავლო ნაბიჯები და ტრენდები) და როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზნებს (რეკომენდაციები და დანერგვის ინოვაციური მექანიზმები). აღნიშნული სამფაზიანი მიდგომის ფარგლებში პარალელურად გაანალიზდება საერთაშორისო კარგი პრაქტიკაც. ეს ანალიზი შესაძლოა დაუკავშირდეს საჯარო სამსახურის ახალი სტრატეგიის შექმნისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესსაც.

ამ ეტაპზე, ბიუროს 2020-2021 წლების ინსტიტუციური სამოქმედო გეგმის შესრულების ვადა ამოინურა. შესაბამისად, ბიურო პარალელურ რეჟიმში, მუშაობს 2022 წლის ინსტიტუციური სამოქმედო გეგმის შექმნაზე. ამ მიზნით, პროცესში ჩართულები არიან ბიუროს გუნდი და ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შერჩეული საერთაშორისო ექსპერტები.



05

აზროვნების ტრანსფორმაცია და ორგანიზაციული კლიმატის გაუმჯობესება საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით 2021 წელს განახორციელა პროექტი „აზროვნების ტრანსფორმაცია და ორგანიზაციული კლიმატის გაუმჯობესება საჯარო სამსახურში“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.

■ **საჯარო მოხელეთა ფორუმი.** საჯარო სამსახურის ბიურომ პროექტის ფარგლებში გააგრძელა საჯარო მოხელეთა ფორუმების ჩატარება. თავდაპირველად მოხდა ჩატარებული ფორუმებით კმაყოფილების დადგენა და მომავალი ფორუმების თემატიკის განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა. სულ ჩატარდა 21 საჯარო მოხელეთა ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული 2900 მოხელე. ფორუმები გაიმართა ისეთ აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ინოვაციური ბიზნეს მოდელი საჯარო სამსახურში, გადანაცვლების მიღება პროფესიული განვითარების პროცესში, საჯარო მოხელეთა როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში, სახელმწიფო ენა საჯარო სამსახურში, პრეზენტაციების მომზადების თანამედროვე ტექნიკები და სხვა.

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, შეგროვდა და სოციალური ქსელით გავრცელდა მოხელეთა შესახებ საინტერესო და ინსპირაციული ისტორიები. ისტორიების შეგროვების მიზნით, პროექტის გუნდმა შეიმუშავა შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგია. შეიქმნა სპეციალური მისამართი, სადაც მოხელეებს მიეცათ თავიანთი ისტორიების გამოგზავნის შესაძლებლობა, ასევე ისტორიების შეგროვების ინიციატივის შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდა სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით, მათ შორის მო-



**2021 წლის
განმავლობაში ჩატარდა
21 საჯარო მოხელეთა ფორუმი,
რომელსაც ესწრებოდა
2900 მოხელე**

ხელეთა ფორუმებზე. ბიუროს სოციალურ ქსელში გაზიარდა 14 მოხელის ისტორია.

■ **მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერება.** ამ მიზნით, ჩატარდა 29 სამდღიანი ტრენინგი „საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული 441 მოხელე შემდეგი უწყებებიდან: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბილისის სააპელაციო სასამართლო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს სამინისტროები; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, მთავრობის აპარატები, უმაღლესი საბჭოები; საქალაქო და რაიონული სასამართლოების აპარატები; სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. დამატებით ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ერთ-ერთი ჯგუფის მონაწილეების ინიციატივითა და თხოვნით, ვინაიდან მათ გამოთქვეს სურვილი ტრენინგებისა და პროექტის გუნდისთვის გაეზიარებინათ ტრენინგის განმავლობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის შესახებ ინფორმაცია.

■ **საჯარო სამსახურში მენტორინგის ინსტრუმენტის დანერგვის ხელშეწყობა.**

მოწვეულ იქნა ორი ადგილობრივი ექსპერტი, რომლებმაც შეიმუშავეს ხუთდღიანი ტრენინგ მოდული საჯარო სამსახურში მენტორინგის ინსტრუმენტის შესახებ. აგრეთვე, შემუშავდა შესაბამისი კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც შეირჩა 10 მენტორი სხვადასხვა სამინისტროდან. შეგირდების იდენტიფიცირებისა და მენტორინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მენტორთა ჩართულობით ჩატარდა ცნობიერების ამაღლების 10 შეხვედრა, რომელთაც ესწრებოდნენ სამინისტროებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები. შეხვედრებს სულ დაესწრო 210-მდე მენეჯერი. აღნიშნული შეხვედრებიდან, სამინისტროების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების ხელმძღვანელების დახმარებით, განისაზღვრა იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც, ცნობიერების ამაღლების შეხვედრების შემდგომ, სურვილი გამოთქვეს შეგირდების როლში ეთანამშრომლათ მენტორთა წყვილებთან. შედეგად, გამოიკვეთა 70 მენეჯერი, სხვადასხვა სამინისტროდან. შესაბამისად, თითოეულ მენტორს განესაზღვრა 7 შეგირდის მენტორობა, რომლებთან ერთადაც გაიწერა მომდევნო თვეებში განსახორციელებელი აქტივობები. მენტორებმა წარმოადგინეს, ყოველთვიური ანგარიშები, რომლებიც დეტალურად აღწერს უკვე განხორციელებულ, მიმდინარე და სამომავლო პროცესებს. გარდა ამისა, ერთ-ერთი მენტორის ინიციატივით, საკუთარ ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით დამატებით ჩატარდა ონლაინ შეხვედრა შეგირდებისათვის თემაზე: სტრესი და სტრესის მართვა, სადაც თითოეული მენტორის შეგირდებს მიეცათ მონაწილეობის შესაძლებლობა. მენტორებმა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსსა და პროექტის გუნდს გააცნეს მენტორინგის საბოლოო შედეგები, პროცესის გამოწვევები და სამომავლო რეკომენდაციები. ინიციატივის წარმატების შეფასების მიზნით ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შეგირდებმა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 80 %-მა დააფიქსირა, რომ მენტორინგის



გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 80%-მა დააფიქსირა, რომ მენტორინგის პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მათ დაეხმარათ სამსახურებრივი მოვალეობების უკეთ შესრულებაში.

პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მათ დაეხმარათ სამსახურებრივი მოვალეობების უკეთ შესრულებაში. მენტორინგის პროცესში მიღებულ ყველაზე სასარგებლო ინფორმაციად დასახელდა: ცვლილებების მართვა, თანამშრომელთა მოტივაცია, კომუნიკაცია, კონფლიქტების გადაჭრის გზები და მენეჯერული უნარები.

■ ეთიკის მენტორინგის დანერგვის ხელშეწყობა.

მონვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა შეიმუშავა ტრენერთა ტრენინგის მოდული, ასევე, წარმოადგინა კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებითაც შეირჩა ტრენინგის მონაწილეთა ვინაობა.

კერძოდ, სულ შეირჩა 20 მონაწილე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებიდან, როგორებიცაა: სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თავდაცვის სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი და ფინანსთა სამინისტრო. მონაწილეებმა გაიარეს სამდღიანი გადამზადების კურსი. შეხვედრების შედეგად, იდენტიფიცირდა მენტორთა 10 წყვილი. საერთაშორისო ექსპერტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო მენტორებისთვის, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ ქეისებს და ასევე, იმ ტექნიკებს, რომლებიც სჭირდებათ მენტორებს შეხვედრების ჩატარების დროს.

ეთიკის მენტორინგის მიზნობრივი შეხვედრების დაგეგმვისათვის, სამინისტროებში დაიგზავნა ოფიციალური წერილი და შეგროვდა ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც სამინისტროებში ეთიკურ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სულ შეგროვდა 20 მონაწილე. ეთიკის მენტორებმა ჩაატარეს 16 შეხვედრა სამინისტროებში დასაქმებული პირებისთვის ისეთ საკვანძო თემებზე, როგორებიცაა: ეთიკური გარემო; ღირებულებები; ნეიტრალიტეტი; საჩუქრის ინსტიტუტი; მამხილებელთა დაცვა; რისკების მართვა და სხვ.

■ ტალანტების მართვის სისტემის განვითარება. ადგილობრივმა ექსპერტებმა ჩაატარეს კვლევა საჯარო სამსახურში ტალანტების მართვის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ასევე, ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, სამინისტროების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლების მონაწილეობით. მიღებული ინფორმაციისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მომზადდა სახელმძღვანელო საჯარო სამსახურში ტალანტების აღმოჩენისა და მართვის შესახებ. ექსპერტებმა ასევე შეიმუშავეს ტალანტების მართვის ტრენინგმოდული და ჩაატარეს სამდღიანი მასტერკლასი ამ თემატიკის ირგვლივ, რომელსაც საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების 20-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. გარდა ამისა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ტალანტების მართვის საკითხი ინტეგრირდა მენტორინგის პროგრამაში და მენტორთა გეგმებში, სადაც დამატებით თითოეულ შეგირდს მიეწოდა ინფორმაცია ამ მექანიზმზე.

■ დისტანციური მუშაობის შესაძლებლობების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში შეიმუშავდა სახელმძღვანელო საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობისა და ლიდერობის შესახებ. სახელმძღვანელოზე იმუშავა ხუთმა ადგილობრივი ექსპერტი, რომელთაც



აღნიშნულ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. სახელმძღვანელოს მიხედვით ასევე შეიქმნა ილუსტრირებული გზამკვლევი „მართვა და ლიდერობა ციფრულ სამყაროში“, რომელზეც დიზაინერსა და ილუსტრატორთან ერთად, დარგის სამმა ექსპერტმა იმუშავა.

ბედნიერების კვლევა საჯარო სამსახურში. კვლევის მიზნებისთვის, ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, შემუშავდა კითხვარი რაოდენობრივი კვლევისთვის და დაეგზავნა საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ასევე, თვითმმართველობის დონეზე. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა ანგარიში „ბედნიერების კვლევა საჯარო სამსახურში“, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურში თანამშრომლების ბედნიერების/კეთილდღეობის დონის შეფასებას. კვლევა 2021 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით ონლაინ პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 1466-მა საჯარო მოხელემ მიიღო. პრაქტიკულად მთელი სამიზნე პოპულაცია შეფასდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შერჩევის ცდომილება მინიმუმამდეა დაყვანილი, მიღებული შედეგები სრულყოფილად ასახავს პოპულაციის მახასიათებლებს და მისი გენერალიზება შესაძლებელია. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნების მიხედვით კვლევაში ჩართულ საჯარო მოხელეთა უმეტესობას, სამუშაოსთან ასოცირებული ბედნიერების საშუალო დონე აქვს (65%), 17.7%-ს – დაბალი, 17.3%-ს კი – მაღალი. ამასთანავე რაც უფრო პოზიტიურად ფასდება ადამიანური რესურსის მართვის ცალკეული პროცესი ორგანიზაციაში მაგ., რეკრუტმენტი და შერჩევა, ჩართულობა, ტრენინგი, განვითარება და განათლება, შრომის პირობები, შესრულებული სამუშაოს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, კომპენსაცია და დაჯილდოება, მით უფრო მაღალია თანამშრომელთა კეთილდღეობის დონე და სხვ.

მხილების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება და ვებგვერდის – MKHILEBA.GOV.GE დახვეწა. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა მხილების მექანიზმის შესახებ არსებული მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესახებ ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც საჯარო დაწესებულებების 327-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის მიგნებები გაანალიზდა და შესაბამისი ამოცანების განხორციელების მიზნით დაქირავებულ იქნა ექსპერტი. მოხდა ვებგვერდის – www.mkhileba.gov.ge დახვეწა. გახდა უფრო მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული, აღმოიფხვრა იდენტიფიცირებული ხარვეზები. ვებგვერდზე განთავსდა მხილების ვებგვერდის გამოყენების შესახებ ვიდეო ინსტრუქცია, მხილების თემატიკაზე შემუშავებული ბანერები, შეიცვალა ვიზუალი, ფუნქციონალის გამოყენება გამარტივდა მომხმარებლისათვის, დაემატა სტატისტიკური მონაცემების გრაფა, განახლდა მხილების შესახებ აღწერილობითი ნაწილი, ასევე, რესურსების, სამართლებრივი დოკუმენტებისა და ხ.დ.კ.-ს ნაწილი და გაიმართა ვებგვერდის მობილური ვერსია.

საერთაშორისო კონფერენცია. 23 ივნისს გაიმართა გაეროს საჯარო სამსახურის დღი-სადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ციფრული და დისტანციური მმართველობა – თანამედროვე გამოწვევები“. რამდენადაც პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში შეცვალა დღის წესრიგი და პრიორიტეტები, საჯარო სამსახურშიც აუცილებელი გახდა ახლებური მიდგომების დანერგვა და მმართველობის სისტემის ეტაპობრივი გარდაქმნა. ამ პროცესში კი ციფრული და დისტანციური მმართველობა განსაკუთრებულ აქ-



ტუალურობას იძენს. არსებულ გამოწვევებსა და თანამედროვე მიდგომებზე სასაუბროდ კონფერენციაზე მომხსენებლად მოწვეულები იყვნენ დარგის ექსპერტები როგორც საქართველოდან, ასევე პარტნიორი ქვეყნებიდან. მათ მიმოიხილეს თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების საკითხები, ეფექტიანი დისტანციური მუშაობის პრაქტიკები, ციფრული მმართველობის გამოწვევები, ორგანიზაციისა და პერსონალის მართვის ახალი ტენდენციები, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა ელექტრონული მმართველობის პირობებში. კონფერენცია სრულად ონლაინ ფორმატში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

■ **საინფორმაციო ვიდეო რგოლები.** საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემუშავდა და ბიუროს მიერ ადმინისტრირებული გვერდების მეშვეობით გავრცელდა ვიდეოები: ინსპირაციული ისტორიების შესახებ საჯარო სამსახურში; კეთილსინდისიერების შესახებ საჯარო სამსახურში; საჯარო სამსახურის რეფორმის, მართვისა და ლიდერობის, ასევე, მენტორინგის შესახებ.

■ **პროექტის შეჯამების ღონისძიება.** პროექტის მიღწევების შეჯამების, მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შეჯერების მიზნით, გაიმართა დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა 270 მონაწილე საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ასევე, საერთაშორისო ექსპერტები და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები.

06

საჯარო სამსახურის მედეგობის უზრუნველყოფა პროფესიული უნარების სრულყოფის ინოვაციური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობით

საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „საჯარო სამსახურის მედეგობის უზრუნველყოფა პროფესიული უნარების სრულყოფის ინოვაციური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობით“.

■ **მრავალფეროვანი სამუშაო ძალის ხელშეწყობა საჯარო სამსახურში.** ინკლუზიური და წარმომადგენლობითი საჯარო სამსახურის ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა და შემუშავდა კონცეფციის დოკუმენტი საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი სამუშაო ძალის შესახებ. აღნიშნული მიზნით, მოწვეულმა ექსპერტმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფის 3 შეხვედრა შემდეგი ჯგუფების ჩართულობით: საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საჯარო მოხელეები; საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირები. კონცეფციის დოკუმენტში აისახა წარმომადგენლობითი საჯარო სამსახურის მიმართ ზოგადი მიდგომები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრაქტიკა, ასევე, განსახორციელებელი ქმედებები და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვნებაზე ორიენტირებული შერჩევის პროცედურების დადგენას და შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას.

■ **კონფერენცია შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.** საჯარო სამსახურში შშმ პირების უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩაატარა თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა



საჯარო სამსახურში“. ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივმა ექსპერტებმა მიმოიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებები და საჭიროებები, მათი უფლებრივი მდგომარეობის კოორდინაციის საკითხები, პერსონალის მრავალფეროვნების არსი საჯარო სამსახურში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ფსიქოლოგიური ასპექტები. კონფერენცია 2 დეკემბერს ჩატარდა და მასში მონაწილეობა 200-მდე საჯარო მოხელემ მიიღო.

■ საჯარო სამსახურში თანამშრომელთა კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორების შესაფასებელი ინსტრუმენტის შემუშავება. წინა წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიურომ ჩაატარა კვლევა საჯარო მოხელეების ბედნიერების/კეთილდღეობის დონის შესაფასებლად, რომელიც მოიცავდა საჯარო სამსახურში კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს. აღნიშნული კვლევა საფუძვლად დაედო სამუშაო ადგილას კეთილდღეობის ორგანიზაციული ფაქტორების შემდგომ სიდრმისეულ ანალიზს, რომელიც პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ასევე, შემუშავდა საჯარო სამსახურში თანამშრომელთა კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორების შესაფასებელი ინსტრუმენტი და შესაბამისი მეთოდოლოგია/თეორიული ჩარჩო. აღნიშნული მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, იგეგმება მისი ყოველწლიურად გამოყენება საჯარო დაწესებულებებში ბედნიერების გასაზომად და შესაძარბელი მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. შემუშავებული ინსტრუმენტის გამოყენება პირველად, საპილოტე რეჟიმში, საჯარო სამსახურის ბიუროში იგეგმება.

■ საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება. ორგანიზაციისათვის შიდა და გარე კომუნიკაციის სტანდარტების არსებობის კრიტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბიუროს ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებისა და საქმიანობის შესაბამისად, მუშავდება კომუნიკაციის სტანდარტი. საკომუნიკაციო სტანდარტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება საჯარო მმართველობის რეფორმის არსებული საკომუნიკაციო სტრატეგია. აღნიშნული მიზნით, შეირჩა ექსპერტთა ჯგუფი და გაიმართა სამუშაო შეხვედრები.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის რეფორმის კოორდინაციის პროცესის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ბიუროში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების/ინსტრუმენტების გაუმჯობესება. მონაცემთა თანმიმდევრული შეგროვებისა და ანალიზის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მონაცემების შეგროვებისა და ანალიტიკური ანგარიშების წარმოების არსებული მეთოდების გადახედვა და მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის გზამკვლევის შემუშავება. აღნიშნული მიზნით შეირჩა საკონსულტაციო კომპანია, რომელმაც გამართა შეხვედრები როგორც ბიუროს სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე გარე მხარეების ჩართულობით.

■ საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის გაძლიერება. საჯარო მოხელეებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი საკომუნიკაციო არხების და პლატფორმების შექმნა და არსებულის დახვეწა.

ამ მიზნით, გრძელდება სხვადასხვა თემაზე საჯარო მოხელეთა ფორუმების ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში



დასაქმებული საჯარო მოხელეები. ამ დროისათვის, ჩატარებულია 4 საჯარო მოხელეთა ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-მა საჯარო მოხელემ.

■ საჯარო მოხელის დღე. საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის გაძლიერებისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს საჯარო მოხელის დღესთან დაკავშირებული ინიციატივა, რომელიც ყოველწლიურად 19 დეკემბერს აღინიშნება. ქვეყნის განვითარების პროცესში საჯარო მოხელეთა მნიშვნელოვანი წვლილის აღსანიშნავად, აქტივობის ფარგლებში, 20 დეკემბერს ჩატარდა საჯარო მოხელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული 165 საჯარო მოხელე დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიურომ საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებს გააცნო ბიუროს გუნდი, საჯარო სამსახურის სისტემის გაუმჯობესების კუთხით ბიუროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შედეგები და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია. პროექტის ფარგლებში შეიქმნა და მოხელის დღის ფორმატში გაზიარდა ვიდეო, რომელშიც საჯარო მოხელეების შვილები საუბრობენ მათი თვალთ დანახულ მოხელე მშობლებზე.

■ ეთიკის მენტორინგი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გრძელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მხარდაჭერილი წინა ქვეპროექტის ფარგლებში დაწყებული მენტორინგის ინიციატივის გაგრძელება და კეთილსინდისიერების საკითხებში გადამზადებული მენტორების ჩართულობით მენტორინგის განხორციელება. ამ ეტაპისათვის უკვე ჩატარებულია ეთიკის მენტორინგის 5 შეხვედრა, რომელსაც სამინისტროების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შიდა აუდიტის ერთეულების 70 წარმომადგენელი ესწრებოდა.

■ მართვისა და ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო სამსახურში. საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, აქტივობის ფარგლებში განახლდა მართვისა და ლიდერობის შესახებ ტრენინგ მოდული. ტრენინგების სამიზნე აუდიტორიად ამჯერად განისაზღვრა მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლები საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან. საანგარიშო პერიოდისათვის ჩატარებულია 2 პარალელური ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამინისტროების საჯარო სამართლის იურიდიული პირების 31-მა თანამშრომელმა.

■ საჯარო სამსახურში თემათური მენტორინგის პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში გაგრძელდა მენტორინგის პროგრამის საჯარო უწყებებში და კონკრეტულად კი, მოხდა თემატური მენტორინგის პროგრამის შემუშავება. აღნიშნული მიზნით, განალიზდა წინა პროექტის ფარგლებში მენტორინგის პროგრამის წინაშე არსებული გამოწვევები და მიღწევები, შემუშავდა ხუთთვიანი მენტორინგის პროგრამა და შესაბამისი განრიგი, გაიმართა საორიენტაციო შეხვედრები საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, შემუშავდა შეგირდების შერჩევის გამჭვირვალე პროცედურა. პროექტის ფარგლებში შეირჩა 50 შეგირდი, რომელთაც მენტორობას უწევნ გადამზადებული, გამოცდილი მენტორები საჯარო დაწესებულებებიდან. მენტორებმა წარმოადგინეს ყოველთვიური ანგარიშები მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე, მიმდინარეობს მენტორინგის საკითხებში ტრენინგ მოდულისა და სახელმძღვანელოს შემუშავება.



■ **სამუშაოს მართვის სისტემის გაძლიერება საჯარო სამსახურში.** საჯარო სამსახურში სამუშაოს მართვის სისტემის გაძლიერების მიზნით, შემუშავდა კონცეფციის დოკუმენტი სამუშაოს მართვის ციკლის შესახებ, რომელიც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სტრატეგიის დაგეგმვა, ორგანიზაციული მიზნების განსაზღვრა, გუნდების და ინდივიდების მიზნების განსაზღვრა სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. ამ მიზნით, მოწვეული ექსპერტის მიერ ჩატარდა თემატური შეხვედრები და სამი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოხდა საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების მოსაზრებების დადგენა სამუშაოს მართვის სისტემის შესახებ, ასევე, იდენტიფიცირდა სამუშაოს შესრულების შეფასების ციკლთან დაკავშირებული პრობლემები.

■ **კომპეტენციების ჩარჩოს შემუშავების სახელმძღვანელო.** პროექტის ფარგლებში ასევე მიმდინარეობს კომპეტენციების ჩარჩოს შემუშავების სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი, რისთვისაც, ამ ეტაპისათვის შეირჩა სფეროს ექსპერტი, რომელიც შეიმუშავებს სახელმძღვანელოს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ფუნქციური კომპეტენციების შემუშავება და კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდელის მახასიათებლები; კომპეტენციების შემუშავების პროცესი და მეთოდოლოგია; ქცევითი ინდიკატორების აღმოჩენა და დადასტურება და სხვა. სახელმძღვანელოში ასევე თავმოყრილი იქნება კომპეტენციების ჩარჩოს შემუშავებისათვის საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტები (კითხვარები, ნუსხები და სამუშაო რუკები).

07

საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის ხედულება

■ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ – ინსტიტუციური ანალიზი.

საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მხრიდან, ინსტიტუციური ანალიზისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში თანამშრომლობისა და მეთოდური დახმარების გაწევის საჭიროებასთან დაკავშირებით შემოსული თხოვნის საფუძველზე, ახორციელებს „საქპატენტის“ ინსტიტუციურ ანალიზს. კერძოდ, საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა პირველადი ანალიზის პროცესი: შემუშავდა კითხვარი, რომელიც შესავსებად დაეგზავნა საქპატენტის ხელმძღვანელ პირებსა და თითოეული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელს. აღნიშნული კითხვარი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა ორგანიზაციის პრიორიტეტული ფუნქციები და ამოცანები, მიღწევები, ორგანიზაციული მოწყობა და საშტატო ერთეულების რაოდენობა, ასევე, თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები და დაქვემდებარების დონე. კითხვარით მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, იდენტიფიცირდა ზოგადი სტრუქტურული და ორგანიზაციული მოწყობის ხარვეზები და ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები. ინტერვიუების პროცესში მიღებული ინფორმაციის შეფასებისა და ზემოაღნიშნული პროცესის ფარგლებში მიმოხილული ეტაპების შესაბამისად, შემუშავდა საქპატენტის ინსტიტუციური ანალიზის პირველადი შედეგების ამსახველი ანგარიში.

■ მზამკვლევაში სახელმწიფო პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის. საჯარო სამსახურის



ბიურომ, USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით, ახლად არჩეული ან დანიშნული სახელმწიფო პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის მოამზადა სახელმძღვანელოები. თანამდებობაზე განწესების პარალელურად აღნიშნული სახელმძღვანელოები სახელმწიფო პოლიტიკურ და პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, დაეხმარება კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში და წარმოაჩენს მათ როლს სახელმწიფო მმართველობაში.

■ მოხელის დროებითი ტრანსფერი. საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მხარდაჭერით, გრძელდება მუშაობა მოხელის დროებითი ტრანსფერის მექანიზმის შემუშავების მიმართულებით. „საჯარო სამსახურში მოხელეთა დროებითი ტრანსფერის შესახებ კონცეფციის“ საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიურომ, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით, შეიმუშავა დროებითი ტრანსფერის ინსტრუქციის პირველადი პროექტი. აღნიშნული ინსტრუმენტის ადაპტაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიზანია, არსებული პრაქტიკისა და საჯარო დაწესებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტის მიერ მომზადებული პირველადი პროექტის საფუძველზე, შეიმუშაოს ტრანსფერის საბოლოო ინსტრუქცია, რომელიც საჯარო დაწესებულებებს მისცემს შესაძლებლობას უფრო აქტიურად გამოიყენონ და დაწერონ აღნიშნული მექანიზმი პრაქტიკაში მოხელეთა უნარების გაუმჯობესებისა და ახალი კომპეტენციების განვითარების მიზნით.

■ ელექტრონული კურსი საჯარო სამსახურის კანონის შესახებ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიურომ, USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით მომზადებული კურსის შინაარსობრივ ნაწილზე დაყრდნობით, დაასრულა ანიმაციური ვიდეო რგოლების მომზადება. კურსის ფარგლებში მომზადდა 30 ანიმაციური, ადაპტირებული ვიდეო რგოლები, რომელიც ხელი შეუწყობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მართივ გაგებასა და ცნობიერების ამაღლებას, საჯარო სამსახურში არსებული ახალი მიდგომების ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. ელექტრონული კურსის პრეზენტაცია გაიმართა მოხელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში და დიდი ინტერესი გამოიწვია მოხელეებში.

■ ეთიკის ელექტრონული კურსი. საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. ამ მიზნით, საჯარო მოსამსახურეებისათვის მომზადდა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი, რომელიც შეიქმნა საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ელექტრონული კურსი შედგება სასწავლო და საგამოცდო ნაწილებისაგან. თითოეული თემატური მოდული დატვირთულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მაგალითებით, ასევე, არაეთიკუ-



**საჯარო
მოსამსახურეებისათვის
მომზადდა საჯარო სამსახურში
ეთიკის ელექტრონული
სასწავლო კურსი –
www.ethics.gov.ge –
რომელიც შეიქმნა
საჯარო მოსამსახურეებში
ეთიკური გარემოსა და
კეთილსინდისიერების
მნიშვნელობის ნახალისების
მიზნით.**

რი შემთხვევების მაგალითებით, რომელთა წინაშეც შესაძლოა დადგეს საჯარო მოსამსახურე ყოველდღიური საქმიანობისას. ელექტრონული კურსის საგამოცდო ნაწილის წარმატებით გავლის შემდეგ, საჯარო მოსამსახურეს გადაეცემა კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა კურსის შინაარსობრივი და ტექნიკური მხარის გამართვა და აღნიშნული კურსის შესახებ ინფორმაცია სატესტო რეჟიმში დაეგზავნა ცენტრალურ საჯარო უწყებებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს. დეკემბრის მდგომარეობით, პორტალზე რეგისტრაცია გაიარა 105-მა მოხელემ, ხოლო კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო 43-მა მოხელემ.

2022 წლიდან იგეგმება კურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეებს შორის, რათა გაიზარდოს კურსის მომხმარებელთა და სერტიფიცირებულთა რაოდენობა.



08

საერთაშორისო თანამშრომლობა

მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი პანდემური მდგომარეობისა, საჯარო სამსახურის ბიურო განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან, აქტიურად მონაწილეობს ღონისძიებებსა და კონფერენციებში და ამით ცდილობს, როგორც ქართული გამოცდილების გაზიარებას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე სხვა ქვეყნების მიღწევების და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და ანალიზს.

საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდში, ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხებსა და ანტიკორუფციული მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, დისტანციურ რეჟიმში აქტიურად მონაწილეობენ OECD SIGMA-ს, CoE-ს, IACC-ს Network of Integrity-ს, NCPA-ს, ასტანას რეგიონული საჯარო სამსახურის ჰაბის, უკრაინის საჯარო სამსახურის ეროვნული სააგენტოს, სამხრეთ კორეის პერსონალის მართვის სამინისტროს, ყაზახეთის რესპუბლიკის საჯარო სამსახურის საქმეთა სააგენტოს, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და სხვათა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

მაგალითად, ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ასტანას საჯარო მოხელეთა ჰაბის, სამხრეთ კორეის პერსონალის მართვის სამინისტროსა და ყაზახეთის რესპუბლიკის საჯარო სამსახურის საქმეთა სააგენტოს ერთობლივ კონფერენციაში თემაზე „ადამიანური რესურსების განვითარება ელექტრონული სწავლების მეშვეობით“. ასევე, უკრაინის საჯარო სამსახურის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე „კლასიფიცირებისა და რანგირების სისტემები საჯარო სამსახურში“ და ასტანას საჯარო მოხელეთა ჰაბის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე „ადამიანური რესურსების

მართვის პროცესები საჯარო მმართველობაში: გამონვევები და პერსპექტივები”, ასევე, „საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმები: გამონვევები და პერსპექტივები”, ამავე ჰაბის მიერ ორგანიზებულ პანელურ სესიაში თემაზე „ლიაობის და გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვა მმართველობაში: საქართველოს მაგალითი“.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ეკონომიკური დანაშაულისა და თანამშრომლობის განყოფილების მიერ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის განვითარება“. კონფერენცია წარმოადგენდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ინიციატივების – პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG) და ჰორიზონტალური დაწესებულების (HF) – ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებას, რომლის მიზანია იყო ბენეფიციარი ქვეყნების რეფორმის დღის წესრიგის დახვეწის ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ქრილში. ორივე პროგრამა ფოკუსირებულია კორუფციის პრევენციასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. კონფერენციას ესწრებოდნენ ექსპერტები და პრაქტიკოსები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საჯარო დაწესებულებებიდან, მათ შორის, ბიუროს დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტიდან.

ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ინიციატივის – პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG) – ფარგლებში ჩატარდა რეგიონული სამუშაო შეხვედრა თემაზე: „წითელი დროშები და დეკლარაციების ელექტრონული სისტემები“. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ბიუროს დეკლარაციების მონიტორინგისა და დეკლარაციების შევსების დეპარტამენტების თანამშრომლები.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას Network for Integrity-თან და აღნიშნული ქსელის მონაწილე უწყებებთან ერთად იმსჯელებს სამომავლო თანამშრომლობის ფორმატსა და თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნის საკითხებზე. საქართველომ ქსელის მონაწილე ქვეყნებს და უწყებებს გაუზიარა გამოცდილება თანამდებობის პირთა დეკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის სისტემების განვითარების კუთხით.

დეკლარაციების შევსების და მონიტორინგის სისტემის დახვეწის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ განაცხადი გააკეთა ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) გამოყენების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც, 2022 წელს დაგეგმილია ექსპერტის მისია.

აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა ასტანას საჯარო მოხელეთა ჰაბთან და 2022 წლის პირველ ნახევარში საჯარო სამსახურის ბიურო სტაჟირების ორკვირიან პროგრამას შესთავაზებს ყაზახეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის 30-მდე სტუდენტს საჯარო მმართველობის რეფორმის და ანტიკორუფციული მექანიზმების მმართველობაში დანერგვის გზებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

09

საკანონმდებლო სვდიღებები და სასამართლო პროცესები

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა და საქართველოს მთავრობას 2021 წლის 15 ივნისს წარედგინა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის კორექტირებული პროექტი. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტის ატვირთვის შემდგომ, გამოიკვეთა კანონის საფუძველზე შექმნილ სსიპებთან მიმართებაში არსებული საკანონმდებლო ნორმების ცვლილების საჭიროება და შესაბამისი კანონის პროექტების (62 კანონის პროექტი) შემუშავება. კანონის პროექტის პირველადმა ვერსიამ განიცადა გარკვეული სახის კორექტირება საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების საკითხის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაქვემდებარებისა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის/კონტროლის განხორციელების ქრილში. კორექტირებული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს მთავრობას წარედგინა 2021 წლის 25 ოქტომბერს, რომელიც ითვალისწინებს არსებული გარდამავალი პერიოდის ერთი წლით გახანგრძლივებას და ემსახურება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებისათვის სათანადო პირობების შექმნას და პრაქტიკაში მის უხარვეზო განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არსებული გარდამავალი პერიოდის 2022 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივებას.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის საფუძველზე, დაჯარიმებული თანამდებობის პირებიდან, 2021 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა ბიუროს უფროსის 5 განკარგულება. აღნიშნული სარჩელები განხილვის ეტაპზეა.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობის საფუძველზე, დაჯარიმებული თანამდებობის პირებიდან, 2021 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა ბიუროს უფროსის 4 განკარგულება. აღნიშნული სარჩელებიდან 3 სარჩელი განხილვის ეტაპზეა, ხოლო ერთი განუხილველად დარჩა სარჩელის გამოხმობის საფუძველზე.

დაჯარიმების შესახებ თანამდებობის პირების მიერ წინა წლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა 2 სარჩელი.

სასამართლოს მიერ წინა წლებში დაკმაყოფილებული გადაწყვეტილებებიდან ბიუროს მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა 1 გადაწყვეტილება.

აღნიშნულ პერიოდში, ბიუროს წინააღმდეგ შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა და მხარის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სულ – 20 საქმე, სააპელაციო სასამართლოში – 2 და საქართველოს უზენაეს სასამართლოში – 6 საქმე.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.mkhileba.gov.ge) დაფიქსირდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მისამართით მხილების 78 შესაძლო ფაქტი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ბიუროში არ შემოსულა წერილი ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას მათი წერილობითი და სატელეფონო თხოვნის საფუძველზე, ბიუროს კომპეტენციის ფარგლებში გაეწია სამართლებრივი დახმარება და მიეცა რეკომენდაცია, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის, ასევე დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიმდინარე წარმოებებთან დაკავშირებით.

LEPL CIVIL SERVICE BUREAU ACTIVITY REPORT 2021



CONTENTS

01 HUMAN RESOURCE MANAGEMENT	41	06 ENHANCE CIVIL SERVICE RESILIENCE BY PAVING THE WAY TOWARDS DEVELOPMENT OF INNOVATIVE RE-SKILLING APPROACHES	59
02 PROCESS OF FILLING-IN AND MONITORING OF PUBLIC OFFICIALS' ASSET DECLARATIONS	49	07 PROMOTING CIVIL SERVICE REFORM	62
03 GENDER IN PUBLIC SERVICE	51	08 INTERNATIONAL COOPERATION	64
04 INSTITUTIONAL STRENGTHENING OF CIVIL SERVICE BUREAU	53	09 LEGISLATIVE CHANGES AND LITIGATION	66
05 TRANSFORMATION OF MINDSET AND IMPROVEMENT OF ORGANIZATIONAL CLIMATE IN CIVIL SERVICE	55	STATISTICS IN CIVIL SERVICE 2021	68

01

HUMAN RESOURCE MANAGEMENT

For purposes of ensuring uniform state Human Resource Management Policy for public institutions, pursuant to requirements prescribed under the Law on Civil Service, the Civil Service Bureau within its competence continues efforts in research of baseline conditions in civil service environment and monitoring of uniform state policy implementation.

■ **RECRUITMENT IN THE CIVIL SERVICE.** Total of 46 candidates, competing for 75 vacant positions appealed to Civil Service Bureau for protection of applicants' rights and reassessment of applicant's compliance with general formal competency requirements, set forth in official job announcement. After the reassessment of official requirements and applicants' competencies, the Civil Service Bureau recommended advancement of 6 applicants, competing for 9 different openings, to the next stage of recruitment process.

■ **VERIFICATION OF ADDITIONAL QUALIFICATION REQUIREMENTS.** Pursuant to Article 28 of the Law of Georgia Civil Service, during the reporting period, based on special characteristics and nature, as well as contents of relevant job descriptions of various Civil Servant Positions, the Civil Service Bureau reexamined and approved Additional qualification requirements of 1522 positions, distributed through 484 public institutions. Additionally, 162 out of 484 public institutions received opinions, suggestions and comments in form of recommendations, drawn up in the framework of Bureau's authority.

■ **COMPETITION PROTOCOL ANALYSIS (CPS).** Pursuant to Article 21 of the Law of Georgia on Civil Service, to ensure monitoring of uniform state policy implementation and incorporation of the uniform practices in Civil Service, the Bureau examined the process of conducting civil servants' recruitment at public institutions. The

**Total of 4441 Job Postings
on Official Website of
the Bureau – www.hr.gov.ge –
where 2794 – open competition,
256 – closed, 386 – internal,
585 – simplified,
397 – internship and
23 – other**

Bureau requested submission of relevant Recruitment Commission Protocols on open, closed and internal competitions from central and municipal self-governing institutions, judiciary bodies, as well as Legal Entities from Public Law and other subordinated institutions. The Bureau used random selection for all institutions examined, based on job openings posted on the website, administered by the Bureau – www.hr.gov.ge. Following the request, 28 public institutions submitted relevant CPs for review. The analysis of submitted documentation led to significant findings, which require improvement in order to ensure uniform enforcement of the Civil Service legislation:

- In most of reviewed cases, the applicants were evaluated based solely on the interview, which in general was delivered in a format of unstructured interviews, which fail to prove relevant instruments for evaluation of applicants' motivation and personal traits.
- Conducting verbal testing during the interview stage is a common occurrence. It is noteworthy that use of verbal testing increased compared to previous reporting periods, however, it is important to include information on specific instruments of verbal testing and methodology of applicant evaluation in the protocol of the corresponding stage.
- Use of written testing component remains rare. It is possible that under pandemic circumstances, use of this component associated with more organizational routine and time resources; however, if considering the special characteristics of the open position, the written testing proves to be more efficient in selecting the best candidate, the Bureau recommends to resort to it.
- Number of cases involving use of one and the same commission for different positions has diminished, compared to the previous reporting years; however, some cases of such practice still remained. The practice dictates that public institutions staff one multi-member Recruitment Commission for processing several parallel selections at once. However, large number of members involved does not guarantee possibility of their due and proper participation in a selection process, considering their diverse profiles and competencies, on one hand and may lead to discomfort or anxiety of participants, on the other. It is noteworthy that despite the diversity of formal list of the commission-members, only several of them are actually present at Recruitment Commission meetings, mostly, those who represent the same institution. Such practice contradicts with the spirit of the Civil Service legislation and from the long-term perspective may build a distrust to the selection procedures within public institutions.
- Some CPs lack detailed information on stages of recruitment and the process itself. CPs include only names of respective stages, which is in breach of applicable legislation.
- CPs fail to provide comprehensive information on recruitment agenda, conditions, forms and methodology of applicants' evaluation, discussions among commission members and basis for relevant decision, which may serve as grounds for taking case to the court for purposes of protecting applicants' rights.

